PDF Eraser Free

დანართი №3

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ რემიშვილი

წევრები:

დავით გუდაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **კოლეჯი „ერქვანი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **სსიპ**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) დირექტორის 2020 წლის 6 ივნისს N 434188 ბრძანების საფუძველზე 2020 წლის 18 და 19 ივნისს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ კოლეჯში ,,ერქვანი" დღის წესრიგის შესაბამისად ***(იხ. დანართი 1).***

ვიზიტის მიზანი იყო პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ მესამე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ელექტროობა" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა" ხორციელდება ქ.ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქ.N10 ; პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს აუდიტორია N1 და N10 შენობის პირველ სართულზე.

ექსპერტებმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაცია. ვიზიტის დროს მოხდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრება, გადამოწმდა ადამიანური რესურსის კვალიფიკაცია და შრომითი ხელშეკრულებები, მოხდა პროგრამის განხორციელების ადგილის დათვალიერება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, მატერიალური და ადამიანური რესურსის გადამოწმება და სხვა. ვიზიტი მიმდინარეობდა კომფორტულ და კონსტრუქციულ გარემოში.

სსიპ კოლეჯი „ერქვანი"-სთვის ავტორიზაციის მინიჭების თარიღია 2019 წლის 30 ივლისი.

დაწესებულების დირექტორის მიერ N 16 „ო" ბრძანებით 2020 წლის 19 მარტს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სსიპ კოლეჯი „ერქვანის" სტრატეგიული გეგმის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის და სხვა შიდა ნორმატიული დოკუმენტაციის ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით , ხოლო 2020 წლის 17 ივნისს დირექტორის N29 „ო" ბრძანების შესაბამისად კოლეჯის შიდა ნორმატიულ დოკუმენტაციაში ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელდა ცვლილებები, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს შეისწავლა კორექტირებული დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის დროს გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

1. *რეკომენდაცია მიეცათ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის დროს მკაცრად დაიცვან სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი რეგულაცია პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცედურის შესახებ -* ***შესრულებულია.***
2. *რეკომენდაცია მიეცათ ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიული მასწავლებლებმა გაიარონ CISCO ავტორიზებულ აკადემიაში ინსტრუქტორის გადამზადების კურსი;*

დაწესებულების მიერ გაზრებულია CISCO IT-essential სასწავლო კურსის ინსტრუქტორის სტატუსის მოპოვების აქტუალობა, ამ მიზნით დაწესებულებამ დაამყარა კომუნიკაცია „IT-პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის“ წარმომადგენელთან. უახლოეს მომავალში იგეგმება სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარება;

3. *რეკომენდაცია მიეცათ დაწესებულებამ დროულად განახორციელოს ყველა ცვლილება ახლადდამტკიცებული წესდებით განსაზღვრული სტატუსის და სახელწოდების შესაბამისად -* ***შესრულებულია;***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

PDF Eraser Free

VII. რეკომენდაციების შეჯამება

კომპონენტი 2.4.2.

ექსპერტთა ჯგუფმა კომპონენტი შეაფასა მეტწილი შესაბამისობით. მათ მიერ მოხდა ხარისხის მართვის მენეჯერის 2020 წლის სამუშაო გეგმის შესწავლა. გეგმაში განსაზღვრულია შესასრულებელი ღონისძიებები, მოსალოდნელი შედეგი, შესრულების ვადა და შემსრულებელი, მათ შორის წლის ბოლომდე ვერიფიკაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები. რეკომენდირებულია მოხდეს მიმდინარე „ელექტროობის“ პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის შეფასების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცესმა უნდა დაადასტუროს, რომ შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები არის ზუსტი. დოკუმენტში „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“-ში ნათლად უნდა განისაზღვროს ვერიფიკაციის განხორციელების მიმართულებები: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. წინასწარ უნდა შეფასდეს თუ რა მოცულობის სამუშაო აქვს ვერიფიკატორს და არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი. ამის შემდეგ რისკების ანალიზის საფუძველზე უნდა მოხდეს იმ ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება პროგრამისთვის „ელექტროობა“

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში.
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	პროგრამის დამტკიცების ბრძანება: 19.04.2019 N 18 „ო“ პროგრამის ცვლილების ბრძანება: 24.05.2019 N 27 „ო“ 17.06.2020 N 32 „ო“
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ.ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ.N10
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით, მათ შორის ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში), ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად	12 სტუდენტი
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა	12 სტუდენტი
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	24 სტუდენტი, მოდულური, ქ.ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ.N10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება პროგრამისთვის „ელექტროობა“

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება პროგრამისთვის „ელექტროობა“

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
   „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას, სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ მისიაა - „შრომის ბაზრის გაზრდილი და სწრაფად ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად, ბენეფიციარებს, მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და ასაკის შეუზღუდავად, მისცეს შესაძლებლობა, დაეუფლონ ახალ პროფესიას, შეიცვალონ პროფესია ან აიმაღლონ კვალიფიკაცია პრინციპით: პროფესიული განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე დასაქმებისათვის და ამით შეიტანოს თავისი წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში“. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების მიერ “ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილების დასაბუთებას, ელექტროობა პრიორიტეტული მომსახურების სფეროა რეგიონისთვის; კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ამბროლაურისა და მუნიციპალიტეტების მე-10,11,12-ე კლასების მოსწავლეთა ანკეტირებით გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა მოსწავლეთა დაინტერესება “ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით; არსებობს ამ პროფესიით დასაქმების ფართო არეალი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.
   დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია კოლეჯის სტრატეგიული გეგმა, რომელიც შეისწავლეს ექსპერტებმა და დაადგინეს, რომ პროგრამის განხორციელება ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელიც ითვალისწეინებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული მოთხოვნადი პროფესიული პროგრამების განსაზღვრას და განხორციელებას. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულია „სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და დამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“, რომელიც მიზნად ისახავს კოლეჯის მიერ მომზადებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებას.
2. ექსპერტთა შეფასებით სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ „ელექტროობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, პროგრამაზე დაშვების პროცედურები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში/მუხლი 3- „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა, სტუდენტის სტატუსის მოპოვება“, რომელიც დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის ბრძანებით N 19 ,, ო „ 24.04. 2019 წ. ამ წესში მითითებულია ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/ ნ ბრძანებით, უნდა გასწორდეს **ტექნიკური შეცდომა** და შეიცვალოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“. (იხ. ვებგვერდი http://erqvaniprof.ge/uploads/Saswavlo_Procesis_Maregulirebeli_wesi_2019.pdf) ექსპერტების მიერ ვიზიტის დროს გადამოწმდა ელექტროობის პროგრამაში მითითებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კურსდამთავრებულთა კვალიფიკაცია. მინიჭებული კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილს დამტკიცებულ №69/ნ ბრძანებასთან.

3. სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ელექროობა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრულია შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით; დაწესებულების დირექტორის მიერ 2018 წლის 26 ივლისს ბრძანებით N60 „ო“დამტკიცებულია სსიპ პროფესიული კოლეჯი „ერქვანის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოოდოლოგია. მეთოდოლოგია განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების შესაბამისად“, მეთოდოლოგიაში შესულია ცვლილება 2020 წლის 25 მაისს, რომლის საფუძველზეც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კვოტა განისაზღვრება 2 ჯგუფით, ჯგუფში 10-15 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით, თუ დაკმაყოფილებული იქნება ამ მეთოდოლოგიის პირველი მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები. მეთოდოლოგიის შესაბამისად კოლეჯში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში. ვიზიტის დროს პროგრამაზე ირიცხებოდა **9** პროფესიული სტუდენტი, **2** მათგანს სტატუსი აქვს შეჩერებული. ექსპერტთა შეფასებით შესაძლებელია არსებული კვოტა(12) გაიზარდოს 24 პროფესულ სტუდენტამდე.
4. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოხდა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „ელექტროობა“ გათვალისწინებული რესურსის შესწავლა. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის რესურსი, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ელექტროობა“ არჩევითი მოდულები არ აქვს.
6. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სსიპ - კოლეჯის „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N 27 „ო“ 2020 წლის 16 ივნისს. მეთოდოლოგიის მეოთხე მუხლის-მოდულური პროგრამის დამტკიცების წესის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის-კოლეჯის დირექტორის მიერ;
7. ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება „ელექტროობა“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

8. ექსპერტთა შეფასებით სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, პროგრამა მიოიცავს ყველა საერთო პროფესიულ მოდულს, ზოგად მოდულებს და სავალდებულო პროფესიულ მოდულებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2019 წლის 19 აპრილს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N 18 „ო“ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“; პროგრამის ცვლილების ბრძანებები: 24.05.2019 N 27 „ო“ და 17.06.2020 N 32 „ო“;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- 2020 წლის 24 აპრილს კოლეჯის დირექტორის ნრძანებით N 19 „ო“ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- დაწესებულების მისია ;
- დაწესებულების სტრატეგიული გეგმა;
- 2019 წლის 14 თებერვალს კოლეჯის დირექტორის N8 „ო“ ბრაძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და დამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“, ცვლილება დამტკიცებულია 2020.17.06. N29 „ო“ ბრძანებით;
- 2018 წლის 26 ივლისს კოლეჯის დირექტორის N 60 „ო“ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, ცვლილება დამტკიცებულია 2020 წლის 25 მაისის N 21 „ო“ და 2020 წლის 17 ივნისის N 30 „ო“ ბრძანებებით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ელექტროობა“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით პროფესიულ სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (12, ორ ცვლაში- 24); პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მიხედვით გათვალისიწნებული უნდა იყოს პროგრამის სპეციფიკა და დაწესებულების რესურსი; დაწესებულების პირველ სართულზე გამოყოფილია 2 აუდიტორია პროგრამის ეფექტურად განხორციელებისთვის, ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს A/B/C გარემო, გარემო აღჭურვილეა ერთ ცვლაში 12 პროფესიული სტუდენტისთვის, ორ ცვლაში 24 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო მატერიალური რესურსისთვის. შესაბამისად, მიმიდინარე ჯგუფის, სასწავლო გეგმით ბოლო 7 კვირის მანძილზე უნდა განხორციელდეს საინჟინრო პროექტის სწავლება მცირე კვირეული დატვირთვით(18სთ), რაც ხელს არ შეუშლის ახალ ჯგუფში პარალელურად სასწავლო პროცესის წარმართვას.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ელექტროობა“ დაწესებულებას საერთო პროფესიული და დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული **3** პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის - **4** პროფესიული განათლების მასწავლებელთან. ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, მოხდა მათთან გასაუბრება და გადამოწმდა მათი დატვირთვა. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად 20 პროფესიულ სტუდენტზე დაწესებულებას უნდა ჰყავდეს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი, ექსპერტთა შეფასებით პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა გაზრდილი კვოტის შემთვევაში (24)უზრუნველყოფს „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. ექსპერტთა შეფასებით „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათი პირადი საქმეები და მოხდა მათთან გასაუბრება; გასაუბრების დროს მათ დაადასტურეს საკუთარი კომპეტენცია და სასწავლო პროცესში ჩართულობა, ექსპერტებმა მიიღეს ინფორმაცია თუ როგორ ხდება მოდულების ადაპტირებას, სწავლის შედეგების დადასტურებას და გაცნობით პრაქტიკის ორგანიზება.
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები, ვიზიტის დროს მოხდა ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება და მისი პირადი საქმის გადამოწმება.
5. ექსპერტთა შეფასებით „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; 2018 წლის 14 მაისის N 26 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ხელმძღვანელობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ბიბლიოთეკას, ვიზიტის დროს მოხდა მოდულებში მითითებული საგანმანთლებლო რესურსის გადამოწმება და დაწესებულების ბიბლიოთეკართან გასაუბრება. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული და აღრიცხულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის შესაძლებლობა. საგანმანათლებლო პროცესის ხორციელდება შენობის პირველ სართულზე, სადაც განლაგებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის A/B და C გარემო, ასევე ბიბლიოთეკა, მედპუნქტი, ბუფეტი და სველი წერტილები. აღნიშნული სივრცეები სრულადაა ადაპტირებული. შენობის მეორე სართულზე განთავსებულია კოლეჯის ადმინისტრაცია და სასწავლო აუდიტორიების ნაწილი, შენობის მეორე სართულზე წვდომის მიზნით დამონტაჟებულია ლიფტი.

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით N 29 “ო“ 2020 წლის 17 ივნისს დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“. საჭიროების შემთხვევაში წესი განსაზღვრავს კოლეჯის სსსმ და შშმ პირი სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის ხდება: სასწავლო გეგმის აკომოდაციის (მოდულით გათვალისწინებული სასწავლო გარემოსა და პირობების ცვლილება, სასწავლო მიზნებში ცვლილების შეტანის გარეშე) ან/და სასწავლო გეგმის მოდიფიკაციის (მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების, შესრულების კრიტერიუმებისა და კომპეტენციის პარამეტრების რაოდენობრივი ან თვისობრივი ცვლილება) ან/და სასწავლო გეგმაში ფუნქციური და ალტერნატიული მიზნების დამატების (წინა უნარ-ჩვევები, რომელთა გამომუშავებაც მნიშვნელოვანია დასაქმებისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის) მიზნით. იმ შემთხვევაში თუკი მოხდება სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია სსსმ/შშმ სტუდენტი ვერ მიიღებს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს. მას მოთხოვნის შემთხვევაში, გადაეცემა სწავლის დამადასტურებელი ცნობა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას,გონივრულ ვადებში,ადგენს კონკრეტული მოდულის განმახორციელებელი მასწავლებელი ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან ერთად. ხარისხის მართვის მენეჯერი ამოწმებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და დასამტკიცებლად წარუდგენს დაწესებულების ხელმძღვანელს. საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნის ანალიზის (მტკიცებულებების) საფუძველზე, ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდამხარდამჭერი გუნდის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად,სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის დირექცია უზრუნველყოფს საჭირო დამატებითი სპეციალისტების დაქირავებასა და ადაპტირებული სასწავლო რესურსის შეძენას. დამატებითი მომსახურების თანხა დაიფარება ,,დანამატი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის“ გამოყოფილი თანხიდან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

სასწავლო რესურსების ადაპტირების საჭიროება დაწესებულებას არ ჰქონია. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება აცნობიერებს და აქვს მზაობა საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს სასწავლო რესურსების ადაპტირება სსსმ/შშმ პირების საჭიროებების შესაბამისად;

7. დაწესებულება უზრუნველყოფს ფინანსური რესურსით „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის ბიუჯეტი და გაესაუბრნენ კოლეჯის წარმომადგენლებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2019 წლის 19 აპრილს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N 18 „ო“ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“; პროგრამის ცვლილების ბრძანებები: 24.05.2019 N 27 „ო“ და 17.06.2020 N 32 „ო“;
- დაწესებულები მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- 2018 წლის 26 ივლისს კოლეჯის დირექტორის N 60 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, ცვლილება დამტკიცებული 2020 წლის 25 მაისის N 21 „ო“ და 2020 წლის 17 ივნისის N 30 „ო“ ბრძანებებით;
- 2020 წლის 19 ივნისს კოლეჯის დირექტორის N 36 „ო“ ბრძანება „პროფესიული განათლების მასწავლებლებზე პროგრამის ხელმძღვანელობის დავალების შესახებ“;
- 2018 წლის 14 მაისის კოლეჯის დირექტორის N 26 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ცვლილება დამტკიცებულია 2020 წლის 17ივნისის N29 „ო“ ბრძანებით;
- მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- 2019 წლის 15 თებერვლის კოლეჯის დირექტორის N 10 „ ო „ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ- კოლეჯი ,,ერქვანი’’-ს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, ცვლილება დამტკიცებული 2020 წლის 17 ივნისის N 29 „ო“ და 2020 წლის 19 ივნისის N 37 „ო“ ბრძანებებით.
- პროგრამის ბიუჯეტი;
- მასწავლებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან/ბიბლიოთეკართან ინტერვიუირება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- ფაქტობრივი გარემოება;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვის მიზნით სსიპ კოლეჯში „ერქვანი“ შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის N27 ,,ო“ ბრძანებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“, რომელშიც გაწერილია პროგრამის შეფასებისათვის ზოგადი დებულებები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

და წესი, მოდულის შემუშავების/ადაპტირების წესი, მოდულური/დუალური პროგრამის დამტკიცების წესი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების, განვითარების და ცვლილებების შეტანის, ასევე მისი გაუქმების წესი, რომელზე დაყრდნობითაც იგი ახორციელებს პროფესიულ პროგრამებს, პერიოდულ ზედამხედველობას პროგრამის მიმდინარეობაზე და სახავს მისი გაუმჯობესების გზებს. დოკუმენტში გაწერილია თითოეული ზემოთ აღნიშნული პროცესისთვის პასუხისმგებელი პირი/პირები, პირობები, მოქმედებათა თანმიმდევრობა. ამავე დროს, დაწესებულებას დამტკიცებული აქვს დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის N27 ,,ო“ ბრძანებით ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელშიც გაწერილია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები დემინგის ციკლის მიხედვით ,,დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე“.დაწესებულება აწარმოებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევას, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვებს;

დაწესებულების მიერ ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების დაცვით. ავტორიზაციის ექსპერტთა დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა მარეგულირებელი დოკუმენტები, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის სტატისტიკის ანალიზი. ჩატარებული იქნა ინტერვიუები კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან, რომლებმაც აღნიშნეს რომ ყოველწლიურად წარმოებს კურსდამთავრებულთა ბაზის შევსება, დასაქმების მაჩვენებლების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, წელიწადში 2-ჯერ ატარებენ სკოლებში და დამსაქმებლებთან მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის შეკრებას. დაინტერესებულ მხარეებში კოლეჯის ადმინისტრაცია განსაკუთრებით აკეთებს აქცენტს დამსაქმებლების უკუკავშირზე. მათი კონკრეტულ მოთხოვნების შესახებ ინფორმაციას აგროვებს და ამუშავებს კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და ინიცირებით მიმართავს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს ახალი პროფესიული პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის ან მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით.

2. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასებისთვის ჩატარებული კვლევების კვლევების გამოყენების, ანალიზის, რეკომენდაციების გაცემისა და ამ რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პრაქტიკული განხორციელების დადასტურება ვიზიტის ფარგლებში ვერ მოხერხდა. კოლეჯის დირექტორის მიერ ა.წ. 17 ივნისის N31 ,,ო“ ,,კოლეჯის მიერ კვლევის წარმოების მექანიზმი“, რომლის მიხედვით სავალდებულო გახდა ზემოაღნიშნული აქტივობა. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს დროს დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზის შესაბამისად დაგეგმილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამების გაუმჯობესება, მაგ. საჭიროების შემთხვევაში სალექციო თემატიკებისა და სასწავლო მეთოდების დაზუსტება, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლა, საათების გადანაწილება ან სასწავლო რესურსის შეცვლა, რომლის მტკიცებულებად წარმოადგინა ხარისხის მართვის სამსახურის 2020 წლის წლიური სამუშაო გეგმა. ინტერვიუების ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს პროგრამის განვითარებისთვის კვლევებში მონაწილეობა, ხოლო პროფესიული სტუდენტებთან გასაუბრება ვერ მოხერხდა პანდემიის მიზეზით შეწყვეტილი სასწავლო პროცესის გამო.

<u>ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში შექმნილია მარეგულირებელი წესები და მექანიზმები, რომლის საფუძველზე უნდა მოხდეს პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება, რომლითაც დაკმაყოფილებულია 2.3.1 კომპონენტის/კრიტერიუმის 1 და 2 ინდიკატორის მოთხოვნები. სასურველია ამ მიმართულებით უფრო მაღალი აქტივობა და მეტად ხარისხიანი კვლევების წარმოება რეგიონში პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობის, ეფექტურად შერჩეული პროფესიული განათლების პროგრამების შეათავაზებისა და ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის გაძლიერების მიზნით.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2020 წლის 16 ივნისს კოლეჯის დირექტორის N27 ,,ო“ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“;
- 2020 წლის 16 ივნისს კოლეჯის დირექტორის N27 ,,ო“ ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- 2020წლის 16 ივნისს კოლეჯის დირექტორის N31 ,,ო“ ბრძანებით დამტკიცებული ,,კოლეჯის მიერ კვლევის წარმოების მექანიზმი“;
- პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი;
- პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი;
- პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, დამსაქმებელთა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კითხვარების ფორმები;
- ხარისხის მართვის სამსახურის 2020 წლის წლიური სამუშაო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „ელექტროობა“ ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად; ექსპერტთა შეფასებით სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

ვირეული დატვირთვა; სასწავლო პროცესი ამ გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, რაც დასტურდება მეცადინეობების განრიგით და შესაბამისი პირების ინტრვიუირებით;

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, რისი მიზანიც სტუდენტთა ინტერესების დაცვაა. სასწავლო პროცესში მონაწილე პირები პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაცია სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციას ეცნობიან ელექტრონული საშუალებებით, მატერიალური ფორმოთ არსებული დოკუმენტებით, სატელეფონო შეტყობინებით და ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირებისაგან. პროცესის მოქნილობის დასადასტურებლად დაწესებულების დირექტორის ბრძანებით N 29 “ო“ 2020 წლის 17 ივნისს დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“. საჭიროების შემთხვევაში წესი განსაზღვრავს კოლეჯის სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. ვიზიტისა დროს ექსპერტებმა შეისწავლეს ინდივიდუალური გეგმები და გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს.
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; „ელექტროობის“ საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს, მოდულებში გამოყენებულია სწავლების აქტიური მეთოდები სემინარი, დისკუსია და სხვა. „ელექტროობის“ პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება კომპეტენტურ პირებთან; პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი ორგანიზებას უწევს მასწავლებლებს შორის სწავლება-შეფასების ნაწილში გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.
4. „ელექტროობის“ პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; 2019 წლის 28 ნოემბერს N68 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდაჭერის გუნდის შექმნისა და მასში მონაწილე პირების საქმიანობის წესი და N 29 “ო“ 2020 წლის 17 ივნისს „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“. ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან, მასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საჭიროება არ დამდგარა.
5. დაწესებულება თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებასთან, რაც დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, გაცნობითი პრაქტიკის მიზნით 2018 წლის 17ივლისს კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ხილის გადამამუშავებელ საწარმო შპს „გეო-ფლაუერი-სა და პროფესიულ კოლეჯს შორის დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ტრანსპორტირებას ობიექტზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

6. სსიპ კოლეჯში „ერქვანი“ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებაა პრაქტიკულ კომპონენტის განხორციელებას უზრუნველყოფს კოლეჯში. უსაფრთხოების პროცედურები გაწერილია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ შინაგანაწესში, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმებში და სსიპ კოლეჯი ერქვანის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ელექტროობა C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესში.ზემოაღნიშნული წესი უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოში სწავლებას და გამოკრულია C გარემიში თვალსაჩინო ადგილას. დაწესებულებას გააჩნია უსაფრთხოების შესაბამისი აღჭურვილობა, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია უსაფრთხოების მანიშნებლები,მოდულის განმახორციელებელი პირები პროფესიულ სტუდენტებს უტარებენ უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს, ავსებინებენ უსაფრთხოების ინსტრუქციის ჟურნალს. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს გარემო, შეისწავლეს „უსაფრთხოების ინსტრუქციის ჟურნალი სტუდენტებისათვის C გარემოში“ და გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს. 2020 წლის 9 იანვრის N1 „ო“ დირექტორის ბრძანებით კოლეჯში დანიშნულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. კოლეჯი უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფს მის გადამზადება-სერტიფიცირებას. დაწესებულების მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ მიერ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2019 წლის 19 აპრილს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N 18 „ო“ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“; პროგრამის ცვლილების ბრძანებები: 24.05.2019 N 27 „ო“ და 17.06.2020 N 32 „ო“;
- 2020 წლის 24 აპრილს კოლეჯის დირექტორის N 19 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“; ცვლილება დამტკიცებულია 2020წლის 18 ივნისის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N 34 „ო“ ;
- სასწავლო და კალენდარული გეგმები, მეცადინეობის ცხრილები;
- ხილის გადამამუშავებელ საწარმო შპს „გეო-ფლაუერი-სა და პროფესიულ კოლეჯს შორის 2018 წლის 17ივლისს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- 2020 წლის 17 ივნისის კოლეჯის დირექტორის N29 “ო“ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- 2019 წლის 28 ნოემბერს კოლეჯის დირექტორის N68 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდაჭერის გუნდის შექმნისა და მასში მონაწილე პირების საქმიანობის წესი.
- სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ შინაგანაწესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- 2020წლის 17ივნისს კოლეჯის დირექტორის N 29“ო“ ბრძანებით დამტკიცებული „უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები“;
- 2020წლის 17ივნისს კოლეჯის დირექტორის N 28 “ო“ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი ერქვანის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ელექტროობა C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი;
- 2020 წლის 17 ივნისს კოლეჯის დირექტორის 31 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ მიერ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ინტერვიუირება;
- ფაქტობრივი გარემოება;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

1. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია 2019 წლის 24 აპრილს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N 19 ,, ო“. წესი მოიცავს ისეთ საკითხს, როგორიცაა „სწავლის შედეგის შეფასების, ინსტრუმენტის შემუშავების, დამოწმების, გამოყენების და სტუდენტის მიერ შედეგის დადასტურების და გასაჩივრების წესი“(მუხლი 23[1]), უფრო კონკრეტულად კი შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის და შემუშავების პროცედურას, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმებს, შეფასების ადმინისტრირების საკითხებს, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებს,აპელაციის წესს; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 24-ე მუხლი მოიცავს განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურას და წესს. ამავე წესის 27-ე მუხლის მე-4-ე პუნქტი მოიცავს ინფორმაციას მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესს. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში მიმდინარე პროცესები შესაბამისობაშია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესთან.
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის N27 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია “შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“. თითოეული პროფესიული პროგრამის შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს კომისია, მათ შორის ხარისხის სამსახურის მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესი ინტერესთა კონფლიქტს გამორიცხავს. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დაწესებულებას არ განუხორციელებია უკვე დასრულებული „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სრული ვერიფიკაცია, **რეკომენდირებულია** მოხდეს მიმდინარე პროგრამის შეფასების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცესმა უნდა დაადასტუროს, რომ შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები არის ზუსტი. „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“-ში მოცემულია შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვალიდურობა, სანდოობა, სამართლიანობა და გამჭვირვალეობა. **იხ. დანართი 2. რეკომენდირებულია** დოკუმენტში ნათლად განისაზღვროს ვერიფიკაციის განხორციელების მიმართულებები: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. წინასწარ უნდა შეფასდეს თუ რა მოცულობის სამუშაო აქვს ვერიფიკატორს და არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი. ამის შემდეგ რისკების ანალიზის საფუძველზე უნდა მოხდეს იმ ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა. ეს შეიძლება იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორი, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა და სხვა. ვიზიტის დროს ხარისხის მართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

მენეჯერმა ექსპერტებს წარმოუდგინა ხარისხის მართვის მენეჯერის 2020 წლის სამუშაო გეგმა. გეგმაში განსაზღვრულია წლის ბოლომდე შესასრულებელი ღონისძიებები, მოსალოდნელი შედეგი, შესრულების ვადა და შემსრულებელი, მათ შორის ვერიფიკაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.ექსპერტთა ჯგუფმა კომპონენტი შეაფასა მეტწილი შესაბამისობით.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; 3 წლის შემდეგ დოკუმენტები განკარგული იქნება დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით N29 „ო“ 2018წლის 8 აგვისტოს დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ არქივის წარმოების დებულების შესაბამისად.
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.სასწავლო პროცესის მენეჯერი აანალიზებს შეფასების შედეგებს და ანგარიშს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2019 წლის 24 აპრილს კოლეჯის დირექტორის N 19 ,, ო“ ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- 2020 წლის 16 ივნისს კოლეჯის დირექტორის N27 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“;
- 2018 წლის 8 აგვისტოს კოლეჯის დირექტორის N29 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ არქივის წარმოების დებულება;
- საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების მტკიცებულებები;
- კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული გასაჩივრების პროცედურები(„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ მუხლი 23[1]);
- კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიუირება.

შეფასება:

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი გაზრდილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად
სულ 6 ფურცელი:
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი - 2 ფურცელი;
დანართი 2. 2020 წლის 16 ივნისს დირექტორის ბრძანებით N27 „ო“ დამტკიცებული „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“ - 4 ფურცელი;

03.07.2020
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---